ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის
სხდომის ოქმი N 51

25 მაისი, 2021 წელი
13:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, ბ. ფირცხელიანი, ე. კუხიანიძე, მ. დარჩია, ვ. ოთარაშვილი, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე.

მოწვეული სტუმრები:
გიგა სოფრომაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032113350-03; 13.05.2021).

   მომხსენებელი: ბატონი გიგა სოფრომაძე
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი.

2. საკითხი: „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

   მომხსენებელი: ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი
   თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

1. კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა, პირველ საკითხთან მიმართებით აღნიშნა, რომ დედაქალაქი პირველად მიიღებს მსგავსი ფორმატის დოკუმენტს, რაც ქალაქს კიდევ უფრო მეტად ინკლუზიურსა და თითოეული მოქალაქისთვის კომფორტულს გახდის, ყოველივე კი განვითარებასა და კეთილდღეობას უზრუნველყოფს. საკითხის დეტალურად წარსადგენად, ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა სიტყვა გადასცა ბატონ გიგა სოფრომაძეს.

ბატონმა გიგა სოფრომაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისს შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქის ინკლუზიურობის გაზრდას, შშმ პირებთან დაკავშირებით მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას, შშმ პირთა საზოგადოებაში სრულყოფილად ინტეგრირებას, აქამდე არ ჰქონია. აღნიშნული გეგმა კი შემუშავდა ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ბატონი გიგა სოფრომაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა ოთხწლიანია და მოიცავს 4 ძირითად მიმართულებას: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ცნობიერების ამაღლება, მუნიციპალური ობიექტებისა და სერვისების მისაწვდომობის გაზრდა, რაშიც იგულისხმება როგორც ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ასევე თბილისის მერიის მიერ მოქალაქეებისთვის მიწოდებული მომსახურება. აღნიშნული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მიზანია დედაქალაქში ინკლუზიურობის გაზრდა, აგრეთვე, შესრულების მონიტორინგი, კოორდინაცია და მართვა.

ბატონმა გიგა სოფრომაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიისა, სამოქმედო გეგმაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობდა, რომელშიც ჩართულები იყვნენ სხვადასხვა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია; თავად გეგმაზე მუშაობდა „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო" მოწვეულ ექსპერტებთან ერთად, განხილვის პროცესში კი მონაწილეობა მიიღეს თბილისის მერიის საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებმა, სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელებმა. საბოლოოდ წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებს 74 აქტივობას, რომლებიც განხორციელდება 2021-დან 2024 წლამდე.

ბატონმა გიგა სოფრომაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მერია 2021 წელსვე დაიწყებს საკუთარი თანამშრომლების მომზადებას შშმ პირების საკითხებთან დაკავშირებით, რაც აამაღლებს მათ ცნობიერებას. სასწავლო აქტივობები ორ ნაწილად დაიყოფა: 1. ზოგადად, მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება შშმ პირთა საჭიროებებთან

მიმართებით, მათ საწინააღმდეგოდ დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და ბარიერების აღმოფხვრა 2. თბილისის მერიის სხვადასხვა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელთა ვიწრო სპეციალიზაციებში კვალიფიკაციის ამაღლება. ბატონმა გიგამ აღნიშნა, რომ თბილისის მერიამ 2016-17 წლებში ჩაატარა კვლევა შშმ პირებთან დაკავშირებით, რა დროსაც გამოიკვეთა, რომ კითხვარები არის მნიშვნელოვანი მექანიზმი ინტერესებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისთვის. მაგალითად, ინფრასტრუქტურასთან მიმართებით, ერთ-ერთი კითხვა გულისხმობს ინფორმაციის დადგენას, არის თუ არა ცალკეული შენობის კარები 1 მეტრის სიგანის. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან სტანდარტი მოითხოვს რომ კარი იყოს მინიმუმ 1 მეტრის სიგანის, წინააღმდეგ შემთხვევაში ის საჭიროებს შეცვლას.

ბატონი გიგა სოფრომაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის გაზრდის მიზნით, ყურადღებას ამახვილებს საბავშვო ბაგა-ბაღებში ინკლუზიურ განათლებაზე, მის განვითარება-ხელშეწყობაზე, რისთვისაც ამაღლდება ბაღის თანამშრომელთა ცნობიერება და კვალიფიკაცია. მისივე თქმით, მოქმედი კანონმდებლობით, მიმდინარე წელსვე უნდა დასრულებულიყო საქართველოს ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების ადაპტირების პროექტების მომზადება, რაზეც ქალაქ თბილისის მერიის წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს.

კომისიის წევრი, ქალბატონი გულია გოცირიძე გამოეხმაურა ინფრასტრუქტურის ადაპტირების საკითხს და აღნიშნა, რომ დედაქალაქში უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისას, გათვალისწინებულია შშმ პირთა საჭიროებები და შენობა-ნაგებობების ადაპტირების აუცილებლობა.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ თბილისში ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები და ახლადმოწყობილი სკვერები ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებზე. ასევე, მიმდინარეობს სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური თეატრის ადაპტირება, რომელიც არის მასშტაბური პროექტი და შედეგად, თბილისში იქნება სრულად ადაპტირებული თეატრი.

ბატონმა გიგა სოფრომაძემ სამოქმედო გეგმის ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხი განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურთან ერთად და შეიძლება ითქვას, რომ მოცემული დროისთვის, მით უფრო 2021 წლის ბიუჯეტში, აღნიშნული გეგმის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ფინანსების გამოყოფის საჭიროებას. თუმცა მოქმედი კანონმდებლობით სავალდებულოა, რომ 2024-25 წლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტმა მოსახლეობისთვის დაიწყოს „პერსონალური ასისტენტის სერვისის“ მიწოდება, რაც ლოგიკურია, რომ იქნება დაკავშირებული ფინანსურ სახსრებთან.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა მარიკა დარჩიამ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე აღმასრულებელი მდივნის ირგვლივ ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია იყრის თავს, არაერთი სამუშაო შეხვედრა გამართულა და საინტერესო პროექტებიც დაიგეგმა, თუმცა კოვიდ 19-ის პანდემიამ მათ აქტიურ განხორციელებაზე მნიშვნელოვნად მოახდინა გავლენა. დეპუტატის თქმით, აუცილებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმაზე მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება.

კომისიის წევრმა, ქალბატონმა გულია გოცირიძემ ყურადღება გაამახვილა შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის საკითხზე, მისი თქმით საჭიროების მქონე პირთა დასაქმების მაჩვენებელი დაბალია და საჭიროა, რომ მუნიციპალიტეტმა ამ მიმართულებითაც იმუშაოს აქტიურად.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დღეისათვის ფუნქციონირებს სოციალური საწარმოები, სადაც შშმ პირები არიან დასაქმებულნი, მაგალითად, „ბაბალე“, რომელსაც ქალაქ თბილისის მერია ყოველწლიურად უკვეთავს საახალწლო ნივთების დამზადებას; ბატონი გიგა სოფრომაძის თქმით, ასეთივე სოციალური საწარმოა „სხივი“, რომელიც ხის სათამაშოებს ამზადებს და ხელს უწყობს ადგილობრივი წარმოების განვითარებას.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
გიგა სოფრომაძემ, თინათინ ნიბლოშვილმა, მარიკა დარჩიამ, გულია გოცირიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ.

მომხრე ---------- 8
წინააღმდეგი ---------- 0
თავი შეიკავა ---------- 0

კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, განათლებისა და კულტურის კომისიას არ აქვს შენიშვნები და რეკომენდაციები აღნიშნული დადგენილების პროექტის მიმართ, დადებითად აფასებს მას და მხარს უჭერს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ტყემალაძის ინიციატივითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ჩართულობით მომზადდა პროექტი, რომელიც გულისხმობს ქალაქ თბილისში სკოლებს შორის კონკურსის ჩატარებას, სახელწოდებით „პანდემია, როგორც შესაძლებლობა"; კონკურსის იდეა გამოიწვია იმ განწყობებმა, რაც კორონა ვირუსმა შექმნა მსოფლიოში და საქართველოში; შექმნილმა ვითარებამ კი განსაკუთრებული გავლენა მოახდინა სკოლის მოსწავლეებზე, რომლებიც იძულებულნი გახდნენ დისტანციურ სასწავლო რეჟიმზე გადასულიყვნენ, რითაც მოწყდნენ ჩვეულ რეჟიმსა და სოციალურ აქტივობებს. ამიტომ საკრებულოს თავმჯდომარემ და განათლებისა და კულტურის კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ სკოლებში სწავლის დასასრულს მოსწავლეებისთვის გასართობ-შემეცნებით კონკურსი შეეთავაზებინა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სკოლების მოსწავლეები.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, კონკურსის იდეა გულისხმობს, რომ სკოლის მოსწავლეებმა საკონკურსო ჟიურის წარუდგინოს მოკლე ვიდეორგოლები, რომელთა ხანგრძლივობა 1.5-3 წუთამდეა განსაზღვრული და ასახავს მათსავე გამოცდილებას, რაც პანდემიის პერიოდში მიიღეს, როგორ აისახა იგი მოსწავლეების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე და ა.შ. კონკურსის დოკუმენტაციაზე მუშაობისას, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ კონსულტაცია გაიარა ბავშვთა ფსიქოლოგებთან, გაითვალისწინა მათი რეკომენდაციები და შეიმუშავა კრიტერიუმები და თემები, რომელთა მიხედვითაც მოხდება სკოლის მოსწავლეთა შეფასება ჟიურის მიერ. ჟიურის შემადგენლობა 2021 წლის 20 ივნისამდე დაკომპლექტდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან, თუმცა ჟიურის შემადგენლობაში არ შევლენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, კონკურის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა" შესახებ ინფორმაცია გაჟღერდება მიმდინარე წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ივლისის თვის დასაწყისში კონკურსის გამარჯვებულებს გადაეცემათ ქალაქ თბილისის საკრებულოს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები, რითაც მოსწავლეები წახალისდებიან და მოტივაცია გაეზრდებათ. სოციალურ ქსელში შეიქმნება კონკურსის ვებგვერდი, სადაც საკონკურსო განაცხადების მიღების შემდეგ, 20-30 ივნისის ჩათვლით, აიტვირთება კონკურსანტთა ნამუშევრები. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ თბილისის ტერიტორიაზე მდებარე სკოლების გუნდებს; გუნდის წევრების რაოდენობა უნდა იყოს 4-5 მოსწავლე, ასაკის შეუზღუდავად, საკონკურსო განაცხადს კი წარმოადგენს სკოლა. ცალკე ნომინაციად იქნება „ხალხის რჩეული", ანუ ვიდეორგოლი, რომელიც 21-30 ივნისის პერიოდში, კონკურსის ფეისბუკის გვერდზე ყველაზე მეტ მოწონებას მიიღებს.

კომისიის წევრი, ქალბატონი გულია გოცირიძე დაინტერესდა, მხოლოდ საჯარო სკოლებს ეხებოდა თუ არა კონკურსი, რაზეც ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები.

კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ იგი მიესალმება ამ კონკურსის იდეასა და მიზნებს, ასევე თემატიკას, თუმცა თვლის, რომ კონკურსის დასახელება შესაცვლელია, რადგან ბუნდოვანია სათაური - „პანდემია, როგორც შესაძლებლობა". დეპუტატის აზრით, შესაფერისი სახელწოდება იქნებოდა „პანდემია და ჩემი სამშობლო", ან „პანდემია და ჩემი ქალაქი", რომ კონკურსში გამოვლინდეს მოსწავლეთა პატრიოტული დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისა და ქალაქისადმი. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „პანდემია, როგორც შესაძლებლობა" არის ზოგადი სათაური, რადგან კონკურსის პირობებში წარმოდგენილია საკითხები, რომლებზეც მოსწავლეებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება. ესენია: საქართველო, გლობალური სამყაროს ნაწილი; პასუხისმგებლიანი მოქალაქე და სხვ. ანუ, თემატიკა და სათაური ერთმანეთს შეესაბამება. ქალბატონი მარიკა დარჩია დაეთანხმა, ბატონი ვაჟა ოთარაშვილის წინადადებას და თავის მხრივ, განმარტა, რომ სათაური „პანდემია, როგორც შესაძლებლობა" წარმოადგენს განმარტებით სიტყვათწყობას და არა სათაურს. ამდენად, საჭიროა, რომ კონკურსს მეტად საინტერესო და მიმზიდველი დასახელება მიენიჭოს. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თუკი კონკურსს ეწოდება „პანდემია და ჩემი ქალაქი", ეს ნიშნავს, რომ კონკურსანტებს შეეზღუდებათ საკონკურსო თემატიკა და იგი მხოლოდ თბილისით შემოიფარგლება. კომისიის წევრმა, ქალბატონმა ანა ლაშხმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება კონკურსის წარმოდგენილ სათაურს - „პანდემია, როგორც შესაძლებლობა", რადგან პანდემიის პერიოდში მრავალმა ადამიანმა საკუთარ თავში აღმოაჩინა, ან გამოავლინა ახალი შესაძლებლობები, მაგალითად, ზოგიერთმა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა დაიწყო, სხვებმა - სიმღერა. ამიტომაც, კონკურსის წინამდებარე დასახელება „პანდემია, როგორც შესაძლებლობა" ზუსტად ეხმიანება შექმნილ ვითარებას და მისი შეცვლა არაა საჭირო.

ქალბატონმა მარიკა დარჩიამ დააყენა წინადადება, რომ გამარჯვებული გუნდების სკოლებს გადაეცეთ დამატებითი ლიტერატურა ბიბლიოთეკების განახლებისთვის. კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუკი კონკურსის პარტნიორი ორგანიზაციები დათანხმდებიან აღნიშნულ წინადადებას, მისი განხორციელება მისასალმებელია.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
თინათინ ნიბლოშვილმა, მარიკა დარჩიამ, ვაჟა ოთარაშვილმა, ანა ლაშხმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული

რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **ამავე საკრებულოსთვის ინიცირების შესახებ.**

მომხრე ---------- 7
წინააღმდეგი ---------- 0
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა)

კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი - „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ თანდართული განკარგულების პროექტის სახით.

დანართი: „ქალაქ თბილისში სკოლებს შორის ერთჯერადი კონკურსის „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ ჩატარებისა და შესაბამის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი - 03 (სამი) ფურცელი

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი